



საქმე №1/ბ-128-17

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი
საქართველოს სახელით

6 მარტი, 2017 წელი

თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
სისხლის სამართლის საქმეთა პალატის
მოსამართლე მარინა ხოლოაშვილმა

ეკატერინე უკლებას მდივნობით,

სახელმწიფო ბრალმძებელ: ვაჟა თოდუას,
გამართლებულის ინტერესების დამცველი ადვოკატების: ლ. ა.-ს, მ. კ.-ს

მონაწილეობით,

გამართლებულ: ბ. ფ.-ს

მონაწილეობის გარეშე,

საქართველოს მთავარი პროკურატურის პროკურორის ვაჟა თოდუას სააპელაციო საჩივრის საფუძველზე განიხილა სისხლის სამართლის საქმე ბ. ფ.-ს მიმართ, დაბადებულის 1963 წლის XX ოქტომბერს, საქართველოს მოქალაქის, პირადი №XXXXXXXXXXXX, ნასამართლობის არმქონის, რეგისტრირებულის: ფ.-ში, დ.-ს ქ.№XX, ბინა №XX-ში, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი:

ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, ბ. ფ.-ს ბრალი დაედო მასში, რომ მან ჩაიდინა: კანონიერი ქურდობა.

აღნიშნული გამოიხატა შემდეგში:

ბ. ფ. XXXX წელს საქართველოში აღიარებულ იქნა ე.წ. „კანონიერ ქურდად“. იგი ცნობს და აღიარებს ქურდულ სამყაროს, ეთანხმება მის მიზნებს, თავისი ცხოვრების წესით საჯაროდ



გამოხატავს ქურდული სამყაროს მხარდაჭერას. მას ყოველდღიურ ცხოვრებაში აქტიური ურთიერთობა აქვს ქურდული სამყაროს წევრებთან. იგი, ასევე, აქტიურად მოქმედებს ქურდული სამყაროს მიზნების განსახრციელებლად, მონაწილეობს ე.წ. ქურდულ გარჩევებსა და სპეციალური წესების შემუშავებაში ქურდული სამყაროსთვის სარგებლის მიღების მიზნით.

2016 წლის 18 მარტს საქართველოს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ დაკავებულ იქნა ბ. ფ., რომელმაც განმარტა, რომ იგი არის ე.წ. „კანონიერი ქურდი“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 5 იანვრის განაჩენით ბ. ფ., დაუსწრებლად ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს მთავარი პროკურატურის პროკურორმა ვ. თ.-მ, რომელმაც მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 5 იანვრის გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და ბ. ფ.-ს დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 223¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

აპელანტი აღნიშნულის საფუძველად მიუთითებს იმ გარემოებებს, რომ ბრალდების მხარემ სასამართლოში წარადგინა მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს ბ. ფ.-ს ბრალეულობას, კერძოდ, თავად ბ. ფ.-ს განმარტება, მოწმეების: ი. თ.-ს, ა. ლ.-ს, ლ. გ.-ს, ლ. ჩ.-ს ჩვენებები, წერილობითი დოკუმენტები, თუმცა სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ და უგულებელყო კანონის მოთხოვნები.

პალატამ განიხილა რა აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე, მოუსმინა მხარეებს, შეამოწმა სააპელაციო საჩივრის საფუძველიანობა, გამოიკვლია და შეაფასა საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები, მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 5 იანვრის განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად, შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 5 იანვრის განაჩენით უტყუარადაა დადგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებებს მიცემული აქვთ სწორი სამართლებრივი შეფასება. პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული განაჩენის მოტივაციას, როგორც ფაქტობრივ გარემოებებთან, ისე სამართლებრივ შეფასებასთან დაკავშირებით, რომ საქმეში არ არსებობს შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც უტყუარად დაადასტურებდა, რომ ბ. ფ. არის კანონიერი ქურდი.

სახელმწიფო ბრალმდებელი სააპელაციო საჩივარში ბ. ფ.-ს ბრალდების დამადასტურებელ ძირითად მტკიცებულებად უთითებს მოწმეების: ი. თ.-ს, ა. ლ.-ს, ლ. გ.-ს, ლ. ჩ.-ს ჩვენებებს.



პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელ ი. თ.-ს ჩვენების თანახმად, 2016 წლის 18 მარტს მიიღო ოპერატიული ინფორმაცია, რომ ბ. ფ., რომელიც არის ე.წ. კანონიერი ქურდი, დაკავებული იყო რუსეთის ფედერაციაში და უნდა მომხდარიყო მისი დეპორტაცია საქართველოს აეროპორტის გავლით, რის თაობაზეც აცნობა ხელმძღვანელობას. აღნიშნულის საფუძველზე, გავიდნენ და დააკავეს აეროპორტში. როგორც მისთვის ცნობილია, ბ. ფ. კანონიერად ქურდად მონათლულია 80-იან წლებში.

პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელ ა. ლ.-ს ჩვენების თანახმად, დეტექტივ-გამომძიებელმა ი. თ.-მ 2016 წლის 18 მარტს მიიღო ოპერატიული ინფორმაცია, რომ ე.წ. კანონიერი ქურდი ბ. ფ. ჩამოდიოდა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში. შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი, გ. ბ.-თან და ლ. გ.-თან ერთად გაემგზავრა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, მივიდნენ ხსენებულ პიროვნებასთან, წარუდგნენ, კითხვაზე, იყო თუ არა იგი ბ. ფ., დაადასტურა და თქვა, რომ იყო ე.წ. კანონიერი ქურდი, რის შემდეგაც დააკავეს.

აღნიშნული ინფორმაცია სასამართლო სხდომაზე დაადასტურეს მოწმეებმა - გ. ბ.-მ და ლ. გ.-მ, რომელმაც განმარტეს, რომ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, შეკითხვაზე, იყო თუ არა კანონიერი ქურდი, ბ. ფ.-მ გასცა დადებითი პასუხი და აღიარა, რომ იყო ქურდი, რის შემდეგაც დააკავეს. რაც შეეხება ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ბ. ფ.-მ ჩაიდინა რაიმე დანაშაული, მოიპარა, მოკლა, გამოძალა, საქმე გაურჩია ვინმეს, შექმნა დანაშაულებრივი ჯგუფი და ხელმძღვანელობდა მას, აღნიშნულის თაობაზე მათთვის უცნობია.

მოწმე ლ. ჩ.-ს პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის მიცემული ჩვენების თანახმად, 2016 წლის 18 მარტს დაკავებულ იქნა ე.წ. კანონიერი ქურდი ბ. ფ., რომელიც კანონიერ ქურდად მოინათლა XX-იან წლებში საქართველოში, ზედმეტსახელად „პ.-ს“ მიერ, რომელიც იყო კანონიერი ქურდი. დაახლოებით 10-15 წელია, ბ. ფ. საქართველოში არ ცხოვრობს და რამდენჯერმე არის ნასამართლევი საქართველოსა და რუსეთის ფედერაციაში. კითხვაზე, იყო თუ არა კანონიერი ქურდი, ბ. ფ.-მ უპასუხა, რომ იყო ქურდი. გარდა იმისა, რომ ბ. ფ. არის ე.წ. კანონიერი ქურდი, სხვა ინფორმაციას მისი მხრიდან რაიმე დანაშაულის ჩადენის შესახებ არ ფლობს.

ბრალდებულის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმის თანახმად, ბ. ფ. დაკავებულ იქნა 2016 წლის 18 მარტს ა.-ში.

სააპელაციო პალატა ვერ გაიზიარებს ბრალდების მხარის პოზიციას, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული მოწმეების ჩვენებებით თითქოს დასტურდებოდა, რომ ბ. ფ. არის



კანონიერი ქურდი, ვინაიდან პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოკვლეული არცერთი მტკიცებულება არ მიუთითებს მის მიერ ამ დანაშაულის შეამდგენლობის განხორციელებას.

ბ. ფ.-სთვის საქართველოს სსკ-ის 223¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით ბრალად წარდგენილი ქმედების - კანონიერი ქურდობის განმარტება მოცემულია „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონში. აღნიშნული კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, კანონიერი ქურდი არის ქურდული სამყაროს წევრი, რომელიც ქურდული სამყაროს სპეციალური წესების შესაბამისად ნებისმიერი ფორმით მართავს ან/და ორგანიზებას უწევს ქურდულ სამყაროს ან პირთა გარკვეულ ჯგუფს. ამავე კანონის თანახმად, ქურდული სამყარო არის პირთა ნებისმიერი ერთობა, რომელიც მოქმედებს მათ მიერ დადგენილი/აღიარებული სპეციალური წესების შესაბამისად და რომლის მიზანია დაშინებით, მუქარით, იძულებით, დუმილის პირობებით, ქურდული გარჩევის გზით, დანაშაულებრივ ქმედებებში არასრულწლოვანთა ჩაბმით, დანაშაულის ჩადენით ან დანაშაულის ჩადენისკენ წაქეზებით მისი წევრებისათვის ან სხვა პირებისათვის სარგებლის მიღება. ქურდული სამყაროს წევრი არის ნებისმიერი პირი, რომელიც აღიარებს ქურდულ სამყაროს და აქტიურად მოქმედებს ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად. ქურდული გარჩევა არის ქურდული სამყაროს წევრის მიერ ორ ან ორზე მეტ პირს შორის არსებული დავის გადაწყვეტა, რომელსაც ახლავს მუქარა, იძულება, დაშინება ან სხვა უკანონო ქმედება.

ქურდული სამყაროს ორგანიზება ნიშნავს პირთა ერთობის ჩამოყალიბებას. კერძოდ, წევრების გამოძებნას და გადმოხიზებას, სპეციალური წესების დადგენას ან სხვის მიერ დადგენილი წესების აღიარებას, მის გაცნობას ქურდული სამყაროს წევრებზე, მათგან პირობის მიღებას, რომ დაემორჩილებიან ამ წესებს, ასევე, სამოქმედო გეგმის შემუშავებას და ა.შ. ქურდული სამყარო ორგანიზებულად ჩაითვლება მისი შექმნის, სათანადო მიზნისა და სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბების მომენტიდან.

რაც შეეხება ქურდული სამყაროს მართვას, იგი გამოიხატება ცალკეული დავების მიცემამში ამ სამყაროს წევრებისათვის, კონკრეტული დანაშაულის ხელმძღვანელობაში, უდისციპლინო წევრის დასჯაში და ა.შ. ქურდული სამყაროს გარდა, შესაძლოა, ე.წ. კანონიერმა ქურდმა მართოს პირთა გარკვეული ჯგუფი, რომელიც, შესაძლებელია, არც იყოს კრიმინალური.

ამასთან, ე.წ. კანონიერი ქურდის საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს ქურდული სამყაროს სპეციალურ წესებს. იმისათვის, რომ პირი პასუხისგებაში მიეცეს კანონიერი ქურდობისთვის, უნდა დადასტურდეს, რომ იგი მოქმედებდა (მართავდა პირებს ან ორგანიზებას უწევდა მათ) სწორედ ქურდული სამყაროს სპეციალური წესების შესაბამისად. მხოლოდ ის ფაქტი, რომ პირი საზოგადოებაში კანონიერი ქურდის სახელითაა ცნობილი, არაა საკმარისი სსკ-ის 223¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით ბრალდებისათვის და აუცილებელია, დაუმტკიცდეს, რომ ის მართავდა ან ორგანიზებას უწევდა ქურდულ სამყაროს ან პირთა გარკვეულ ჯგუფს სწორედ ქურდული სამყაროს სპეციალური წესების შესაბამისად.



ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სსკ-ის 223¹-ე მუხლის მე-2 ნაწილი დასჯადად აცხადებს კანონიერ ქურდობას და არ აზუსტებს, თუ რა შეიძლება ამაში იგულისხმებოდეს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოცემული მუხლი დასჯადად აცხადებს კანონიერი ქურდის სტატუსის ქონას კონკრეტული ქმედების ჩადენის გარეშე. მოცემული მუხლი, ისევე, როგორც სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის ნებისმიერი სხვა მუხლი, გაგებულ უნდა იქნეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილით დადგენილ დებულებებთან შესაბამისობაში, მით უმეტეს, ის შესაბამისობაში უნდა იყოს დანაშაულის ზოგად ცნებასთან, როგორც მის კონკრეტულ გამოხატულებასთან.

დანაშაულის ცნება მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლში, რომლის მიხედვითაც, დანაშაული არის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. ამდენად, დანაშაულის შემადგენლობაში, რაც არ უნდა ზოგადი ფორმულირება ჰქონდეს მას, იგულისხმება კონკრეტული ქმედება, ვინაიდან დანაშაული არის სწორედ ქმედება და არა ჩარმოდგენები, შეხედულებები, მისწრაფებები და ა.შ. კანონიერი ქურდობაც გულისხმობს კონკრეტულ ქმედებას და მის გარეშე ის დანაშაულის შემადგენლობას ვერ შექმნის.

კონკრეტული ქმედებები, რომლებმაც შეიძლება შექმნან კანონიერი ქურდობის შემადგენლობა, კანონში ამომწურავად ჩამოთვლილი არ არის და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს, ესა თუ ის ქმედება რამდენად შეესაბამება სსკ-ის 223¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის შემადგენლობას. კანონში, ასევე, არ არის პირდაპირ და ამომწურავად ჩამოთვლილი სპეციალური წესები, რომელთა აღიარებაც არის აუცილებელი ამ დანაშაულის შემადგენლობის არსებობისათვის, თუმცა ეს ბუნებრივია თვით ამ დანაშაულისა და მისი ჩამდენი პირების მოქნილობიდან გამომდინარე. ეს წესები არ არის უცვლელი. პირიქით, დროთა განმავლობაში, ვითარების ცვლილებასთან ერთად, ისინიც იცვლება, რათა ახალმა პირობებმა ხელი არ შეუშალოს ქურდული სამყაროს მიზნების მიღწევას და შეცვლილ პირობებთან შეგუებით მიღწეულ იქნეს ქურდული სამყაროს მიზნები.

სასამართლო სხდომაზე არ დაკითხულა არცერთი მოწმე, რომელიც იქნებოდა სსკ-ის 223¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებების თვითმხილველი და ინფორმაციის პირველწყარო. სასამართლოში დაკითხული მოწმეები ბ. ფ.-ს კანონიერ ქურდობასთან დაკავშირებით ვერ ასახელებენ ვერცერთ კონკრეტულ ფაქტს და ვერ აწვდიან სასამართლოს აუცილებელ ინფორმაციას მის მიერ განხორციელებული ქმედებების შესახებ.

სასამართლო სხდომაზე მოწმე ლ. ჩ.-მ განმარტა, რომ ფლობს ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ბ. ფ. არის ე.წ. კანონიერი ქურდი, ქურდულ სამყაროში აღიარებული პიროვნება, რომელიც მოინათლა 80-იან წლებში. მანვე განმარტა, რომ ბ. ფ.-ს მხრიდან რაიმე კონკრეტული დანაშაულის ჩადენის ან ქურდულ გარჩევებში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია არ გააჩნია. ანალოგიურად, მოწმეებმა - გ. ბ.-მ, ლ. გ.-მ და ი. თ.-მ (ვისი პატაკის საფუძველზეც დაიწყო საქმეზე გამოძიება) სასამართლო სხდომაზე დაადასტურეს, რომ არანაირ ინფორმაციას ბ. ფ.-ს



მხრიდან ქურდულ გარჩევებში ან რაიმე დაჯგუფებაში მონაწილეობის, ან ვინმეს მიმართ რაიმე სახის დანაშაულის ჩადენის თაობაზე არ ფლობენ.

სააპელაციო პალატა, ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას, რომ ასეთ პირობებში მოწმეების არაინფორმატიული ჩვენებები ვერ დაედება საფუძვლად გამამტყუნებელ განაჩენს. მხოლოდ ე.წ. კანონიერი ქურდის სტატუსის ქონა არ წარმოადგენს დასჯად ქმედებას. პირის დამნაშავედ ცნობისათვის აუცილებელია, რომ ის მართავდეს ან/და ორგანიზებას უწევდეს ქურდულ სამყაროს ან პირთა გარკვეულ ჯგუფს და ამ მხრივ ახორციელებდეს აქტიურ ქმედებებს, რაც ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება.

განაჩენის დადგენისას სასამართლო ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციითა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული ძირითადი პრინციპებითა და ნორმებით, კერძოდ:

საქართველოს კონსტიტუციის 40-ე მუხლის თანახმად: „გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ“. ასევე საქართველოს სსსკ-ის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ“; საქართველოს სსსკ-ის მე-269 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი: „არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედოს ვარაუდი“, ხოლო როგორც ზემოთ აღინიშნა, ბრალდების მხარემ სასამართლოს ვერ წარმოუდგინა უტყუარი მტკიცებულებები იმის დასადასტურებლად, რომ ბ. ფ.-მ ჩაიდინა დანაშაული - კანონიერი ქურდობა. გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცების სტანდარტი დადგენილია, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ. აღნიშნულთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში TANIS AND OTHERS v. TURKEY, განმარტა შემდეგი: „წერილობითი და ზეპირი მტკიცებულებების შეფასებისას სასამართლო ითვალისწინებს უკვე დადგენილ სტანდარტს - გონივრულ ეჭვს მიღმა. მსგავსი მტკიცება შეიძლება გამომდინარეობდეს მხოლოდ საკმარისად ძლიერი, ნათელი და შეთანხმებული დასკვნებიდან, ან მსგავსი უდავო ფაქტების ვარაუდიდან. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ მხარეთა ქცევა მტკიცებულებათა მოპოვებისას შესაძლებელია იყოს მხედველობაში მიღებული“.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, ყოველი ადამიანი აღჭურვილია საქმის სამართლიანი განხილვის უფლებით. ადამიანის ამ ფუნდამენტური უფლების არსი თავის თავში გულისხმობს სასამართლოს მიერ პირის მსჯავრდებას, ან წარდგენილ ბრალდებაში გამართლებას უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებების საფუძველზე. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში კი არავითარ ერთმანეთთან შეთანხმებულ და უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობასთან არა გვაქვს საქმე და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულმა მტკიცებულებებმა არ მისცეს



პალატას ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობა, რითაც დადასტურდებოდა ბ. ფ.-ს მიერ დანაშაულის - კანონიერი ქურდობის, ფაქტი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით პალატა მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ბრალმდებლის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 5 იანვრის განაჩენი ბ. ფ.-ს მიმართ.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

პალატამ იხელმძღვანელა რა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 298-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით.

დ ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს მთავარი პროკურატურის პროკურორის ვაჟა თოდუას სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდეს;

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 5 იანვრის განაჩენი ბ. ფ.-ს მიმართ დარჩეს უცვლელი;

ბ. ფ. ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

გამართლებულ ბ. ფ.-ს უფლება აქვს, მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და მიექცევა აღსასრულებლად გამოცხადებისთანავე;

განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში, გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით.

მოსამართლე:

მ. ხოლოაშვილი